ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის
ოქმი №1

დაბა ქედა, **25 მარტი, 2026 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:30 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:45 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - კომისიის წევრი;
ამირან დევაძე - კომისიის წევრი;
მერაბ ტაკიძე - კომისიის წევრი;
ჯამბულ შარაბიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ამირან ცინცაძე;
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;
საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნესტან ბერიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტუქტურის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

25.03.2026 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
3	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
4	ამირან დევაძე	კომისიის წევრი	
5	მერაბ ტაკიძე	კომისიის წევრი	
6	ჯამბულ შარაბიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წერიგი:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ.**

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე
ამირან ცინცაძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.**

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
თავმჯდომარე ლევან ბერიძე

3. **„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა".**

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
თავმჯდომარე ლევან ბერიძე

1. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის 20 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილია (წერილის ნომერი 95-95260791; წერილის თარიღი:20.03.2026) „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ".

საკრებულოს თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 1 (ჯამბულ შარაბიძე)

კომისიამ გადაწყვიტა:
განხილულ იქნას „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ" საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის 13 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად შემოვიდა (განცხადების ნომერი: 12-95260723-95; განცხადების თარიღი:13.03.2026) „ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში".

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო წარმოდგენილი ანგარიში.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 1(ჯამბულ შარაბიძე)

კომისიამ გადაწყვიტა:
განხილულ იქნას „ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში“ საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

3.მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	ქედის მუნიციპლაიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის 2025 წლის ანგარიშის მოსმენა-განხილვა.	აპრილი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ქედის მუნიციპლაიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსი
2	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შემოწმება - მონიტორინგი	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
3	შპს საფეხბურთო კლუბი ქედა - ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს საფეხბურთო კლუბი „ქედა“ - ს დირექტორი
4	საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა.	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს ბიუროს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 1 (ჯამბულ შარაბიძე)

კომისიამ გადაწყვიტა:

დამტკიცებულ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის მეორე კვარტალის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:45 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: **ლევან ბერიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ნესტან ბერიძე**